

**სს “თიბისი ბანკი” გათავაზობთ სტატუს მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების
(დამატებების) შეტანას:**

ხელშეკრულებას 4.3 მუხლში ჩაემატოს 4.3.6 ; 4.3.7 და 4.3.8 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.3.6. ამ ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია მის მიერ ან მასთან განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი (მათ შორის მისი ნებისმიერი მოთხოვნა/განცხადება საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის, საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების ან/და ოპერაციის განხორციელების შესახებ) დაფიქსირდეს (ჩაიწეროს) ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს (არსებობის შემთხვევაში) ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მიიჩნევა ბანკის საკუთრებად და მისი შექმნიდან სამი წლის გასვლამდე ბანკი ვალდებულია, ბანკისთვის მისაღები ფორმით გააცნოს კლიენტს ჩანაწერი მისი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.

4.3.7. კლიენტის მიერ, განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS კოდით, საბანკო ოპერაციების დადასტურებას გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქალაქში დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა. შესაბამისად საბანკო ოპერაციების კლიენტის მიერ SMS კოდით დადასტურების საკითხი არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა.

4.3.8. კლიენტის მიერ საბანკო ოპერაციის შესრულების SMS კოდით დადასტურების შემდეგ კლიენტს უფლება აქვს მოსთხოვოს ბანკს მის მიერ შესრულებული საბანკო ოპერაცი(ებ)ის ტოლფასი იურიდიული ძალის მქონე, ქალაქში დაბეჭდილი დოკუმენტის ასლის მისთვის გადაცემა.

შეიცვალოს ხელშეკრულების 2.1. ; 4.1.1 ; 4.2.2; 4.2.3; 4.2.6 და 5.7 მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1. ბანკი თიბისი სტატუს კლიენტს მიაწვდის შემდეგი სახის საბანკო მომსახურებას:

დისტანციური მომსახურება – იგულისხმება თიბისი სტატუს კლიენტის მიერ, პერსონალური ბანკირისთვის ელ-ფოსტით, მობილურით, ინტერნეტ-ბანკით, მობაილ-ბანკით, SMS კოდითა და სხვა საშუალებებით საბანკო ოპერაციების შესასრულებლად დავალების მიცემა/დადასტურება ბანკის მიერ განსაზღვრული წესებითა და ლიმიტების ფარგლებში.

4.1.1. პერსონალურ ბანკირს მისცეს/დაადასტუროს დავალებები საბანკო ოპერაციების ჩატარების შესახებ წერილობითი ფორმით, ელ-ფოსტით, მობილურით, ინტერნეტ-ბანკით, მობაილ-ბანკით, SMS კოდითა და სხვა საშუალებებით ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ გათვალისწინებული წესით.

4.2.2. უზრუნველყოს ბანკში მოუსვლელად ჩატარებული გადარიცხვის/კონვერტაციის ოპერაციების ნამდვილობის (კანონიერების) დამადასტურებელი დოკუმენტების ხელმოწერა ბანკის მიერ ოპერაციის შესრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა - იმ შემთხვევაში, თუ დავალება არ იქნება დადასტურებული ელ-ფოსტით, SMS კოდით ან ინტერნეტ-ბანკით ბანკის მიერ განსაზღვრული წესებისა და ლიმიტის ფარგლებში.

4.2.3. უზრუნველყოს ანგარიშის/დეპოზიტის/ბარათის გახსნის/დახურვის/შეწყვეტის და ელექტრონული პროდუქტების რეგისტრაციის/გაუქმების საბუთებზე ხელმოწერა ბანკის მიერ დავალების შესრულებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში, თუ დავალება არ იქნება დადასტურებული ელ-ფოსტით, SMS კოდით ან ინტერნეტ-ბანკით ამ ხელშეკრულებითა და ბანკის მიერ განსაზღვრული წესებისა და ლიმიტის ფარგლებში.

4.2.6. კონფიდენციალურად შეინახოს მასზე გადაცემული კოდები, პაროლები თუ სხვა მაიდენტიფიცირებელი საშუალებები. ამასთან, ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის დაკარგვის ან/და ეჭვის გაჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. თუ მესამე პირისთვის ზემოაღნიშნული ინფორმაცია კლიენტის მიზეზით გახდება ცნობილი, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

5.7. ყველა სხვა საკითხი, რაც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.